

საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო



Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY



KA030452597173219

ს/კ 202178927

საქართველო, თბილისი 0119: აკ წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia, Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/23087

01 / მაისი / 2019 წ.

შაკა შაკარიძე, პ/ნ 18001015341

მის: ზესტაფონი, დაღმაშენებლის შესახ. ბ. N 3

ქალბატონო შაკა,

თქვენი 2019 წლის 30 აპრილის №60268 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მოქალაქე ლუკა კიკნაველიძე (პ/ნ 181.ს003009) ბრძანდება „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარი და სარგებლობს აღნიშნული დადგენილების №1 დანართის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების პირობებით, რომლის ფარგლებშიც ანაზღაურებას არ ექვემდებარება: „თვალის რეფრაქციული ქირურგია, სიელმის ქირურგიული მკურნალობა, თვალის ლაზერული ქირურგია (გარდა დიაბეტური თვალისა), რქოვანის გადახერგვა“.

აღნიშნული პირობებიდან გამომდინარე, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტი მოკლებულია შესაძლებლობას აანაზღაუროს ლუკა კიკნაველიძესთვის რეკომენდებული მომსახურების (ექსტრაოკულარული კუნთების რეცესია, ექსტრაოკულარული კუნთების მიექტომია) ხარჯები.

სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში არსებული პროგრამების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ მიმართოთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ელექტრონულ გვერდს (www.moh.gov.ge) ან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ელექტრონულ გვერდს (www.ssa.gov.ge).

პატივისცემით,

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის
დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად



მაია მალააკელიძე-ხომერიკი